

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეგენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა და პროტოკოლების თაობაზე

ანტენატალური მეთვალყურეობა ფიზიოლოგიურად მიმდინარე
ორსულობის დროს

ნაციონალური გაიდლაინი
სრული ვერსია

და

ანტენატალური მეთვალყურეობის პროტოკოლი ფიზიოლოგიურად
მიმდინარე ორსულობის დროს

დავალების განმარტება;

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა განიხილა და მოამზადა რეცენზია ფიზიოლოგიური ორსულობის დროს ანტენატალური მეთვალყურეობის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და თანდართული, ფიზიოლოგიური ორსულობის დროს ანტენატალური მეთვალყურეობის პროტოკოლის თაობაზე:

კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო და პროტოკოლები შეაფასა საოჯახო მედიცინის ექსპერტთა ჯგუფმა.

I. ზოგადი კომენტარები

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიოლოგიური ორსულობის დროს ანტენატალური მეთვალყურეობის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და პროტოკოლის შემუშავება და დანერგვა, მისი მნიშვნელობისა და მართვისთვის სწორი მოქმედების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უდავოდ საშური საქმეა.

სახელმძღვანელოში ნათლადაა წარმოდგენილი პრობლემის აქტუალობა, განხილულია ანტენატალური მეთვალყურეობის სპეციფიკური ძირითადი ასპექტები, რაც მნიშვნელოვნად გაუიოლებს პრაქტიკოს ექიმებს, განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის ქსელში, რომლებისთვისაც ანამნეზი და ფიზიკალური მონაცემები კლინიკური გადაწყვეტილების მთავარი საფუძველია, პრობლემების გამოვლენას, ადრეულ ეტაპზე და მათ სწორად მართვას.

გაიდლაინი გვათავაზობს ფიზიოლოგიურად მიმდინარე ორსულობის მართვის კონკრეტულ სქემას, რაც ითვალისწინებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონის შესაძლებლობებს.

გაიდლაინის სტრუქტურა

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ინფორმაცია ორსულობის სწორად მართვის თაობაზე, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

გაიდლაინის შინაარსი

შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია მსოფლიოში ჩატარებული სარწმუნო კვლევების შედეგები, რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულოს მითითებული რეკომენდაციები. მითითებულია მტკიცებულებების ხარისხი.

შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

პჯდ ექიმებისთვის რეკომენდებული ღონისძიებების განხორციელება დღეს სისტემაში არსებული საოჯახო მედიცინის ცენტრების რესურსის ფარგლებში, სავსებით შესაძლებელია.

თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავისთავად ეს ძალიან თამამი გადაწყვეტილებაა, რაც ოჯახის ექიმებს სერიოზულ ფუნქციას აკისრებს. პირველადი ჯანდაცვის აღჭურვილობის პაკეტი ითვალისწინებს ფიზიოლოგიური ორსულობის მართვისათვის ყველა საჭირო რესურსს.

პროტოკოლები

წარმოდგენილი პროტოკოლები ძირითადად ითვალისწინებს დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) ფორმა №2-ის მოთხოვნებს.

II. სპეციფიკური კომენტარები

- მნიშვნელოვანი სპეციფიკური შენიშვნები არ გაგვაჩნია.

რედაქციული ხასიათის შენიშვნები:

საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე მიზანშეწონილია გაიდლაინის ტექსტური რედაქტირება.

დასკვნა:

- რეცენზირებული სახელმძღვანელო, მისი ამომწურავი შინაარსისა და პირველადი ჯანდაცვის ექიმების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს;
- სასურველია, რომ რეცენზირებული სახელმძღვანელოს გადახედვის ვადა არ აღემატებოდეს დამტკიცებიდან ერთ წელს. საოჯახო მედიცინის მოდელის ამგვარი სწრაფი განვითარების პირობებში მნიშვნელოვანია ადრეულ ეტაპზე შეფასდეს გაიდლაინის დანერგვის პირველი შედეგები და ახალ ვერსიაში გატარდეს ცვლილებები, რაც დაემყარება უახლეს მტკიცებულებებს და ამასთან შესაბამისობაში იქნება პირველადი სამედიცინო მომსახურების მოდელის ლოკალურ შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან.